

სოციოლოგია / Sociology

Gender Issue in the Middle East according to the Publications Published in Georgian Press of the Beginning of XX Century

გენდერული საკითხი მახლობელ აღმოსავლეთში XX ს. დასაწყისის ქართულ პრესაში გამოქვეყნებული შავიზღვისპირული კორესპონდენციების მიხედვით

Sopio Makhatchashvili

Assistant professor at Rize Recep

Tayyip Erdogan University

e-mail: sophio.makhatchashvili@erdogan.edu.tr

ORCID: <https://orcid.org/0000-0003-1083-9865>

Abstract: Since the 70s of the 19th century, the Georgian press has actively focused on the events taking place in the Middle East, the interest in which has not slowed down even at the beginning of the twentieth century. On the contrary, the dynamic development of political processes in this region aroused and deepened the interest of the Georgian society even more, as evidenced by the frequency and diversity of published publications. Among the many interesting issues that are presented in these correspondences, the gender problem has an important place.

20th century In the Georgian press of the beginning, the tendency to bring "women's issues" to the forefront and to actively discuss them is clearly visible. Naturally, when discussing the good and bad of the Middle East, focusing on the mentioned issues would not be less interesting for the Georgian society at that time. It is thanks to this interest that we will get important information, through which it is possible to study the situation in the region in terms of gender in the mentioned period. Our present article aims to present this situation in a clear way.

We think that the collage of viewpoints on gender issues by different authors: Yase Rachveli, Arthur Laist, Davit Chikovani, Gerasime Nadareishvili and others, seen from different perspectives and presented in correspondences, will attract the attention of both specialists working on gender issues and the general public interested in the Georgian press of that time.

Key words: gender issue, Middle East, Black Sea correspondences, Georgian press.

სოფიო მახაჭაშვილი
რიზეს რეჯევ ტეიფ ერდოღანის
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
ელ-ფოსტა: sophio.makhatchasvili@erdogan.edu.tr
ORCID: <https://orcid.org/0000-0003-1083-9865>

აბსტრაქტი: XIX ს. 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართული პრესის ფოკუსში აქტიურად იყო მოქცეული მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები, რომელთა მიმართაც ინტერესი XX საუკუნის დასაწყისშიც არ განელეზულა. პირიქით, ამ რეგიონში პოლიტიკური პროცესების დინამიურმა განვითარებამ ქართული საზოგადოების ცნობისწადილი კიდევ უფრო გააღვივა და გააღრმავა, რაზედაც გამოქვეყნებული შავიზღვისპირული კორესპონდენციების სიხშირე და მრავალფეროვნება მეტყველებს. იმ მრავალმხრივ საინტერესო საკითხთა შორის, რომლებიც ამ კორესპონდენციებშია წარმოდგენილი, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გენდერულ პრობლემატიკას.

XX ს. დასაწყისის ქართულ პრესაში აშკარად იკვეთება „ქალთა საკითხების“ წინა პლანზე წამოწევისა და მათზე აქტიური მსჯელობის ტენდენცია. ბუნებრივია, მახლობელი აღმოსავლეთის ავ-კარგის განხილვისას, აღნიშნულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებაც არ იქნებოდა ინტერესმოკლებული იმდროინდელი ქართული საზოგადოებისთვის. სწორედ ამ ინტერესს უნდა ვუმაღლოდეთ იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციების სიუხვეს, რომლითაც შესაძლებელია აღნიშნულ პერიოდში რეგიონში გენდერული თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესწავლა. ჩვენი წინამდებარე სტატია სწორედ ამ მდგომარეობის თვალნათლივ წარმოჩენას ისახავს მიზნად.

ვფიქრობთ, გენდერულ საკითხებზე სხვადასხვა ავტორების: იასე რაჭველის, არტურ ლაისტის, დავით ჩიქოვანის, გერასიმე ნადარეიშვილის და სხვათა მიერ განსხვავებული პერსპექტივებიდან დანახული და კორესპონდენციებში წარმოდგენილი თვალსაზრისების კოლაჟი, როგორც გენდერულ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტების, ასევე იმდროინდელი ქართული პრესით დაინტერესებული ფართო საზოგადოების ყურადღებასაც მიიქცევს.

საკვანძო სიტყვები: გენდერული საკითხი, ახლო აღმოსავლეთი, შავიზღვისპირული კორესპონდენციები, ქართული პრესა.

გენდერული პრობლემატიკა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი აქტუალური თემაა და XX ს. მეორე ნახევრიდან მოყოლებული, დისკუსიისა თუ პოლემიკის საგნად არაერთხელ ქცეულა მსოფლიო

საზოგადოებრივ თუ სამეცნიერო სივრცეში, არანაკლებ აქტიურად განიხილებოდა ჯერ კიდევ XIX ს. 70-იანი წლებიდან მოწინავე ქართულ საზოგადოებაში, თუმცა არა ამ ტერმინით, რასაკვირველია.

სიტყვა „გენდერი“ (ინგლ. gender; ლათ. Genus – გვარი) – როგორც სოციალური სქესის აღმნიშვნელი ცნება-ტერმინი XX ს. 70-იანი წლებიდან შემოვიდა და დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში.¹

ტერმინი „გენდერი“ სოციალურ მეცნიერებებში ადამიანის სქესობრივი კუთვნილების სოციო-კულტურული ასპექტის აღსანიშნად გამოიყენება. ანუ, ესაა განსხვავება კაცსა და ქალს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით. ასეთია ამ ტერმინის ძირითადი ფორმულირება (თუმცა სპეციალისტები მას არაერთგვაროვნად განმარტავენ¹). ამ ტერმინის მიღმა მოიაზრებენ ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, რომელიც მიეწერებათ მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით. გენდერული როლები განსხვავდება თითოეული კულტურის ფარგლებში და კულტურებს შორის (ბრანდერი, 2004). იგი არ ფოკუსირდება მარტო ქალებზე, არამედ კაცებზეც, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მდგომარეობის ქალების მდგომარეობისთვის შედარების ხარჯზე მოხდეს ქალების დისკრიმინაციის დემონსტრირება, არამედ თვით მამაკაცურობის, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის შესასწავლადაც.

„გენდერი არის სოციალური კატეგორია, რომელიც ისტორიულად არსებობს და ეპოქებისა და კონტექსტის გათვალისწინებით მუდმივ ცვლილებას განიცდის“ (საბედაშვილი, 2006: 112). აქედან გამომდინარე, გენდერი არის ქცევის კულტუროლოგიური მახასიათებელი, რომელიც დადგენილია საზოგადოებაში და შეესატყვისება მოცემულ სქესს კონკრეტულ კულტურულ დროსა და სივრცეში (ანთელავა, 2002).

ის პრობლემატიკა, რასაც თანამედროვე გენდეროლოგები ამ ცნების მიღმა მოიაზრებენ, არახალია და მას თითქმის ყოველთვის აღიარებდნენ და განიხილავდნენ კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში მეტ-ნაკლები დოზით (კიკვაძე, 2010: 34). მათ შორის ქართული აზროვნების ისტორიაშიც არაერთი ნიმუშის გახსენებაა შესაძლებელი, თანამედროვე გენდეროლოგიის მიერ ჩამოყალიბებული დებულებების (გენდერის, როგორც სოციო-კულტურული ფენომენის შესახებ) ისტორიულ ჭრილში გააზრებაში რომ დაგვეხმარება. ამის დასტურია ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ჩვენამდე მოღწეული პირველივე ტექსტი „შუშანიკის წამება“, რომელიც ჯერ კიდევ V საუკუნეში სწორედ ამ პრობლემატიკის აღიარებად შეიძლება მივიჩნიოთ. ამასვე მოწმობს შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ფრაზაში ჩატეული მთელი თანამედროვე გენდეროლოგიური თეორია „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა

ხვადია“, რომელიც ექოდ გასდევს მთელს ნაწარმოებს და იმ ეპოქის გამოძახილს წარმოადგენს...

XIX ს. მეორე ნახევრიდან ამ საკითხის აქტუალობა თვალსაჩინო და საგრძნობია იმჟამინდელ ქართულ პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე გაბნეულ პუბლიკაციებში, რომლებშიც „დედათა საქმის“ ანუ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით არსებული პრობლემატიკა სამსჯავროდაა გამოტანილი ფართო საზოგადოების წინაშე და მწვავე პოლემიკის საგნადაც ქცეულა არაერთგზის.

ამ მხრივ საყურადღებოა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიები: „ქალების არჩევანის უფლება და ინგლისის პარლამენტი“(1877 წ. №16); „ისტორიული სურათები“ (1882 წ. № 4, 5, 6); „ქართველი ქალის“ წერილი „საყურადღებოდ“ (1889 წ. 4 მარტი); ილია ჭავჭავაძის გამოხმაურება აღნიშნულ წერილზე: „დედათა საქმის გამო“ (1889, 6 მარტი); „სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი წოდებრიობის წინააღმდეგ განათლების საქმეში“ (1893 წ. 31 დეკემბერი) და სხვ.

ამ სტატიებში წარმოდგენილი პრობლემატიკა დაწვრილებით აქვს გაანალიზებული ენობრივ-გენდერული რაკურსით ეროვნული იდენტობის გენდერული მარკერების ძიებისას ზ. კიკვაძეს ნაშრომში „ენა, გენდერი და ნაციონალიზმი“ (გამომც. „უნივერსალი“, 2010 წ.), რომელიც მომზადდა 2010 წ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – ბექდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი: ილიას „ივერია“ – ფარგლებში. როგორც კვლევის ავტორი შენიშნავს, გენდერული პრობლემატიკის შემცველ სტატიებში, განსაკუთრებით საყურადღებოა აღნიშნული საკითხების განხილვისას გამოკვეთილი პრობლემისადმი ილია ჭავჭავაძის სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური მიდგომა, რაც უაღრესად დიდ იმვიათობას წარმოადგენდა იმ დროში. კონცეპტუალურად საკითხის ამ რანგში დაყენება ილიასეულ მსჯელობას ღირებულებას უნარჩუნებს გენდერული კვლევების დღევანდელი მდგომარეობის თვალსაზრისითაც (კიკვაძე, 2010).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული პრობლემატიკის მიმართ იმ დროს არ იყო ცალსახა დამოკიდებულება ქართულ საზოგადოებაში. ილიას მიერ აქტიური პოზიციის დაკავებამ ამ საკითხთა მიმართ, მათი სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ ჭრილში წარმოჩენამ, გარკვეული გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, რაც შემდგომ პერიოდში აისახა კიდევ გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით განხორციელებულ ქმედებებში, კერძოდ, ქალთა განათლების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმაში; ქალთათვის ფართოდ დეკლარირებულ საარჩევნო უფლებების მინიჭებაში; საზოგადოებრივ საქმიანობაში ქალთა აქტიურ ჩართულობაში,

რაც დაგვირგვინდა კიდევ დამფუძნებელი კრების შემადგენლობაში 5 ქალი დეპუტატის არჩევით და სხვა.

საზოგადოებრივი აზრის მომწიფება და მზაობა ამგვარი ცვლილებებისათვის, გარკვეულწილად, იმ პუბლიკაციათა დამსახურებადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს ქართულ პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა და აქტუალობა და ინტერესი არც XX საუკუნის დასაწყისში დაუკარგავს; რომელთათვისაც ნიშნულია, ფაქტობრივად, XX ს. მეორე ნახევრის გენდეროლოგიური დისკურსისათვის დამახასიათებელი სტილით საუბარი; დღეისთვისაც მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთა; რომელთა შინაარსიცა და პათოსიც საოცარი სიზუსტით მეორდება თანამედროვე გენდერულ გამოკვლევებში წარმოდგენილი საპროგრამო დებულებების რანგში (კიკვაძე, 2010).

არანაკლებ საყურადღებოა ისეთი პუბლიკაციები, რომლებიც უშუალოდ არ ასახავს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს; განიხილება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ვითარება, რომელიც თემატურად ეხმიანება ქართული საზოგადოების ინტერესებს. ამკარაა, რომ ამგვარი პუბლიკაციები საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისთვისაა გამიზნული და ამა თუ იმ გამოცემის სარედაქციო პოლიტიკაზე მიგვანიშნებს. სტატიის ავტორის დამოკიდებულება განსახილველი საკითხის მიმართ, ავტორისეული კომენტარები და საკითხის წარმოჩენის პერსპექტივა მკაფიოს ხდის რედაქციის არჩევანს.

ამგვარ სტატიათა რიგს მიეკუთვნება XX ს. საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ოსმალეთის იმპერიის რეგიონებიდან მოწოდებული კორესპონდენციები, რომლებიც გვაწვდიან იმ დროისთვის მახლობელ აღმოსავლეთში გენდერული თვალსაზრისით არსებული ვითარების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციებს. ჩვენი სტატიის მიზანი სწორედ მათი გაანალიზება და იმ შტრიხების გამოწვლილვაა, რედაქციის პოზიციას რომ წარმოაჩენს. გარკვევა იმისა, თუ რამდენად ეხმიანება აღნიშნული პუბლიკაციები „დედათა საქმის“ ნაციონალურ განზომილებებს.

ვინაიდან პუბლიკაციები ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ლოკაციიდან, ძირითადად, შავიზღვისპირეთის რეგიონებიდანაა მოწოდებული და ამ რეგიონში არსებულ ვითარებას ასახავს, პირობითად შავიზღვისპირულ კორესპონდენციებად მოვიხსენიებთ.

რამდენადაც იმჟამად გამომავალი ყველა პერიოდული გამოცემისთვის თვალის მიდევნება და მათში თავმოყრილი ინფორმაციების გაანალიზება შეუძლებელია ერთი სტატიის ფარგლებში, მასალის მოცულობიდან გამომდინარე, არჩევანი რამდენიმე მათგანზე შევაჩერეთ: „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“ და „სახალხო გაზეთი“. ეს ის გამოცემებია, რომლებიც მეტ-ნაკლებად სრულად ასახავდნენ საქართველოში იმხანად მიმდინარე

საზოგადოებრივ პროცესებს და ქართული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის თვალის მიდევნების საშუალებასაც იძლევა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტერმინი „გენდერი“ სოციალურ მეცნიერებებში ადამიანის სქესობრივი კუთვნილების სოციო-კულტურული ასპექტის აღსანიშნად გამოიყენება. ამ ტერმინის მიღმა მოიაზრებენ ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, რომელიც მიეწერებათ მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით. გენდერული როლები განსხვავდება თითოეული კულტურის ფარგლებში და კულტურებს შორის (ბრანდერი, 2004). გენდერი არის ქცევის კულტუროლოგიური მახასიათებელი, რომელიც დადგენილია საზოგადოებაში და შეესატყვისება მოცემულ სქესს კონკრეტულ კულტურულ დროსა და სივრცეში (ანთელავა, 2002).

როგორი იყო სოციალურად კონსტრუირებული გენდერული როლები XX ს. დასაწყისის ოსმალეთში? ამის შესახებ წარმოდგენა რომ შეგვექმნას, საკმარისია თვალი გადავავლოთ გაზეთ „ივერიის“ 1909 წ. №40 დაბეჭდილ იასე რაჭველის პუბლიკაციას „მგზავრის შენიშვნები“. მასში ავტორი საკუთარი თვალთ ნანახსა და განცდილ ამბებს გადმოგვცემს. ლაზებით, ანუ ჭანებით მჭიდროდ დასახლებულ სოფელ არხავში გავლისას პუბლიცისტის ყურადღება სწორედ ქალების მდგომარეობას მიუქცევია. ნანახს იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე, რომ მკითხველისთვის მაისი გაზიარება გადაუწყვეტია.

„გზაში რამოდენიმე ქალი და კაცი შეგვხვდა, კაცს დაუკავებია ხელში თოფი, შეიარაღებულიყო თავიდან ფეხებამდის, თოფით, ლივერვერით, ხანჯლით, დანით და კოხტა მოკლე ჩაქურა ტანისამოსში მიუძღვის პირუტყვივით დიდი ტომრით დატვირთულს თავის „მვირფასს ნახევარს“ და მედიდურად მიდის წინ, უკან საბრალო ქალი მისდევს ნახევრად წელში მოღუნული და მიყვება ქმარს სახლისკენ. ან კიდევ ყაძახს დაუკავებია თოფი ხელში, თავიდან ფეხებამდის შეიარაღებულა, ჩაუცვამს მშვენიერი ჩაქურა ტანისამოსი და ყანის ჭიშკართან ან ღობესთან დგას; ქალს კი დაუკავებია ხელში ნამგალი, სჭრის სიმინდს, კონავს და შემდეგ კარგა დიდ შეკვრას იგდებს ზურგზე და მიაქვს სახლში, ქმარი კი წინ მიუძღვის თავმომწონეთ.“

ამ მონაკვეთში პუბლიკაციის ავტორი ნათლად აღწერს ქალისა და მამაკაცის სოციალურად კონსტრუირებულ გენდერულ როლებს მახლობელ ლაზისტანში, სადაც „ქმრები სრულიად არაფერს ფიზიკურად სახლში არ აკეთებენ. ყანას, ბაღებს, ძროხას, ქათამს და აგრეთვე სრულიად ოჯახსაც ქალი უვლის. კაცი მხოლოდ ბატონია ცოლის და იცავს ვითომ ცოლშილსა და ოჯახს გარეშე მტრისაგან.“ თვალშისაცემია მამაკაცთა უფლებრივი მდგომარეობა, რომლებიც მათ მიერ დამკვიდრებული ნორმებით ცხოვრებას აიძულებდა ქალებს. ავტორი აქვე შენიშნავს, რომ ასეთი მდგომარეობა მხოლოდ ამ რეგიონისთვის არაა დამახასიათებელი. რომ „ქალის

მდგომარეობა, საზოგადოდ ოსმალეთში საშინელებაა, მეტადრე მდაბიო ხალხის ქალებისა, მაგრამ ქალაქებში ბევრად უარესი.“ ავტორი არ აკონკრეტებს, რას გულისხმობს ქალაქელ ქალთა მდგომარეობის უარესობაში. თუმცა ყურადღებას ამახვილებს თავად ქალების განწყობასა და მორჩილ დამოკიდებულებაზე საკუთარი „როლის“ მიმართ; რომლებიც უდრტვინველად იტანენ „ამ ისტორიულის უკანონო და უსვინდისო მოქმედებას,“ და იმდენად არიან შეგუებულნი თავის მდგომარეობას თუ დარწმუნებულნი ცხოვრების ამგვარი წესის სისწორეში, რომ „თვითონ ქმრებზე რომ უთხრათ, ეს ასე არ უნდა იყოსო, არაფრის გულისათვის არ დაგიჯერებენ.“

ი. რაჭველი აღმოფოთებას ვერ მალავს ლაზისტანელი ქალების საშინელი მდგომარეობის გამო და ამავდროულად გაკვირვებულია მათი ბედისადმი მონური მორჩილებით. „ზოგსა ჰგონია, ოსმალეთის ახალმა მთავრობამ ქალებს უფრო თავისუფლება მიანიჭაო, მაგრამ ეს მართალი არ არის“ – აღნიშნავს იგი გულდაწყვეტით. სტატის გამოქვეყნების თარიღს და კონტექსტს თუ გავითვალისწინებთ, როცა ქალთა მოძრაობა მთელს ევროპაში აქტიურ ფაზაშია შესული და საქართველოშიც საკუთარი უფლებების დასაცავად სულ უფრო მეტი ქალი ჩნდება საზოგადოებრივ ასპარეზზე, პუბლიცისტის გაკვირვება გასაგებია. თუმცა, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მან, ვინც მანამდე თითქმის 20 წელი ოსმალეთში, კერძოდ სტამბოლში, გაატარა და კარგად იცნობდა იქაურ ყოფას, ისიც მშვენივრად უწყოდა, რომ მთავრობის მიერ გამოცემული ბრძანებები არაა საკმარისი საზოგადოების ცხოვრების წესის შესაცვლელად, განსაკუთრებით დედაქალაქიდან მოშორებულ პროვინციებში. ადგილზე არსებულმა სოციუმმა თუ არ გააცნობიერა ცვლილებების აუცილებლობა და შეგნებულად არ მოახდინა გენდერული როლების კონსტრუირება, ქალისა და მამაკაცის სოციალურ-კულტურული ფენომენის შეცვლა და ფორმირება მთავრობის მიერ შემუშავებულ კანონებსა თუ ბრძანებულებებს ადვილად არ ექვემდებარება. ამისათვის წლებია საჭირო და შესაძლოა ათწლეულებიც.

ქალის უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით ოსმალეთში არსებული ვითარება ისტორიულ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში საფუძვლიანადაა შესწავლილი და საინტერესოდ წარმოდგენილი მათა ბუქურის სამეცნიერო ნაშრომში „ქალი თურქეთში“ (2012). ავტორი ისტორიული წყაროებისა და საარქივო მასალების გამოყენებით მეტ-ნაკლებად სრულ ინფორმაციას გვაწვდის მუსლიმურ აღმოსავლეთში ქალის სოციალური და უფლებრივი მდგომარეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მისი როლის შესახებ, როგორც ოსმალეთის იმპერიის, ისე თურქეთის რესპუბლიკის პერიოდში.

როგორც უკვე ვთქვით, ი. რაჭველი ზემოხსენებულ პუბლიკაციაში აღნიშნავს, რომ „ქალაქებში ბევრად უარეს“ ყოფაში არიან ქალები, თუმცა

მეტს არაფერს ამბობს ამი შესახებ, არ აკონკრეტებს, რას გულისხმობს „უარეს ყოფაში“. XX საუკუნის ქართულ პრესას თუ გადავავლებთ თვალს, ამოვიკითხავთ, რომ ახალმა საუკუნემ დასაწყისიდანვე ოსმალელ ქალთა ცხოვრებაშიც შემოიტანა სიახლე.

გაზეთი „ივერია“ 1901 წ. მეთხუთმეტე ნომრის ფურცლებიდან იუწყებოდა: „ოსმალეთის სულთანის არამხანის ქალები ეს რამდენიმე კვირაა დიდ სიხარულში არიან თურმე: სულთანმა ნება მისცა ერთ ფოტოგრაფს, ამ ქალების სურათები გადაიღოს. ეს ახალი საქმეა ოსმალელ ლამაზებისათვის და სულთანმა ფოტოგრაფს მანამდე არ მისცა სურათის გადაღების ნება, ვიდრე მან მაჰმადიანობა არ მიიღო. ფოტოგრაფს დიდძალი სურათები გადაუღია თურმე და პარიჟში გაუგზავნია, სადაც გამოფენის გამართვას აპირებს.“

გაზეთ „ივერიაში“ 1905 წ. №178 დაბეჭდილია არტურ ლაისტის პუბლიკაცია „პარასკევ დღეს სტამბოლში (ჩემი მოგონებანი)“, რომელშიც ტრადიციული პარასკევი დღის აღწერის ფონზე სტამბოლელ ქალთა ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებზე ამახვილებს ყურადღებას. მწერლის ცნობისმოყვარე და მახვილ მზერას არაერთი მომენტი დაუფიქსირებია ახალგაზრდა ბანოვანთა თავისუფალი ქმედებისა, რომელიც „საშინელ მდგომარეობად“ სრულიადაც არ აღიქმება; მორიდების ზღუდეები რომ გადაულახავთ და თუ „რომელიმე ბებერმა ხელი არ შეუშალა“, სიცილითა და ოხუნჯობით რომ აგებებენ „თავის ტურფა თვალების ისრებს“ ეგზოტიკის მამიებელთა ცნობისმოყვარე მზერას.

დროის გასატარებლად და საჭიროად ერთად შეკრებილი რამდენიმე ცნობილი კაცის ოჯახის ქალები ხალიჩებზე სხედან, შარბათს, ტკბილეულობასა და ხილს მიირთმევენ და საუბრობენ. იქვე მათი სუფთად და კოხტად ჩაცმული ბავშვები მშვიდად თამაშობენ. ასეთი ლამაზი ბავშვები და მოსიყვარულე დედები სხვაგან არსად მინახავსო, – დასძენს ავტორი ამ იდილიური სურათის აღწერისას.

„იქ, სადაც ახალგაზრდა ქალები ან რომელიმე მდიდრის ჰარამხანის ქალებია, დროს უფრო მხიარულად ატარებენ: მღერაინ, თარს უკრავენ, პაპიროსს ეწევიან და, იმისდა მიუხედავად, რომ თავზე შავი ყორანივით დასტრიალებს ზედამხედველი, – საჭურისი-არაბი, – გამველელ-გამომვლელ მამაკაცებს თავს აწონებენ, ეარშიყებიან.“

ცხენზე კოხტად გამოჭიმულ ოფიცრებთან მოკეკლუცე ახალგაზრდა ქალების დაუფარავ არშიყს კარგად ამჩნევს ქალთა მფარველი – ეშმაკი საჭურისი, მაგრამ ძველებურ სისასტიკეს აღარ მიჰმართავენო, შენიშნავს ავტორი და ამას თავისუფლების მოსაპოვებლად ოსმალელ ქალთა ბრძოლის შედეგად მიიჩნევს: „დიდი ხანია ოსმალელი ქალი თავის უფლების მოსაპოვებლად იბრძვის და ევროპიელი ქალები, რომლებიც კი ოსმალეთის

სახლებში დაიარებიან, ერთხმად ამტკიცებენ, რომ ოსმალელმა ბანოვანებმა კარგა ხანია ქმრებს ხმა ჩააწყვეტინესო.“

ოსმალელი ქალების საყვარელ საპარასკევო გასართობთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი თეატრს ეკავა, რომლის სცენებზე იდგმებოდა „ვითომ ოსმალური“, მაგრამ ხშირად ევროპის ცხოვრებიდან აღებული შინაარსის წარმოდგენები, რომლებშიც ხშირად ფარდას ხდიდნენ ხოლმე ჰარამხანის ცხოვრებასაც. ქალებს განსაკუთრებით „კამედიები“ მოსწონდათ. ამ წარმოდგენებზე მთელი თეატრი ქალებითაა ხოლმე სავსეო, შენიშნავს ოსმალთა მეტისმეტი გულკეთილობით, გულწრფელობით, თავაზიანობით და სტუმართ მოყვარეობით მოხიბლული პუბლიცისტი.

როგორც აღვნიშნეთ, ამ პუბლიკაციის ავტორი გახლავთ ცნობილი გერმანელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძის მეგობარი და თანამოაზრე, არტურ ლაისტი და იგი 1905 წ. დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ (№178). მის მონათხრობში ნამდვილად იგრძნობა ოსმალეთის ახალი მთავრობის მიერ ქალებისათვის უფრო მეტი თავისუფლების მინიჭების შედეგი, რაც იასე რაჭველმა 1909 წელს დაბეჭდილ ზემოთ მოხსენიებულ პუბლიკაციაში არ თუ ვერ შენიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ამავე პუბლიკაციაში თავადვე აღნიშნავდა: „ქალები საზოგადოდ ხელუხლებელია ოსმალეთშიო.“ იასე რაჭველს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ რეალობის აღქმის უუნარობას ან ტენდენციურობას. მან მანამდეც და შემდგომ წლებშიც არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა და მნიშვნელოვანი ცნობა მიაწოდა ქართულ საზოგადოებას ოსმალეთში მიმდინარე საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური პროცესების შესახებ მისი იქ ცხოვრების პერიოდში. ალბათ, უფრო იმის ხაზგასმას ცდილობდა, თუ რამდენად აფერხებს ცივილიზაციას სიახლის მიმართ კონსერვატული დამოკიდებულება, რომელიც მკაფიოდ იკვეთება პროვინციული სოფლის ყოფის ფონზე, სადაც უდრტვინველად აგრძელებენ „ისტორიულის უკანონო და უსვინდისო მოქმედებით“ დამტკამპულ ცხოვრებას; საგანგებოდ უსვამს ხაზს პროვინციულ ქალთა ჩაცმულობასაც.

„...აქაურობაზე არა თუ ქმრიანი ქალები და გასათხოვარნი, თვით ათი-თორმეტი წლის ბავშვებიც კი თავიდან ფეხებამდის ჩადრში გამოხვეული დადის. სამი დღეა, რაც აქ სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში დავდივართ და არც ერთი ქალის, ახალგაზრდა არც მოხუცებულის სახე არ დაგვინახავს,“ – წერს ავტორი და აქვე განმარტავს, რომ ამგვარი ჩაცმულობა სულთან ჰამიდის ბრძანების გამო არაა, პირიქით, ახსენებს სულთნის სრულიად საწინააღმდეგო ბრძანებას. მას ეშინოდა ჩადრში გამოხვეული ქალებისა, რადგან საფრთხეს ხედავდა მათში: შესაძლებლად თვლიდა, ჩადრში კაციც გახვეულიყო და შეუმჩნევლად მოეკლა სულთანს.

განსხვავებულად აღწერს ზემოხსენებულ პუბლიკაციაში სტამბოლელი ქალების ჩაცმულობას არტურ ლაისტი. „სახე სრულიად დაბურული მარტო

იმათა აქვთ, ვისაც დასანახი და საჩვენებელი არა მოეპოვებათ რა, ე.ი. ბებერ ქალებს“ – წერს იგი. ახალგაზრდები კი ნიკაპამდე ჩამოფარებულ თეთრ, თხელ პირბადეს ატარებენ, რომელიც სახის ნაკვეთებს ვერ ფარავს და მათი კოპწია ტუჩები და თეთრი კბილებიც კი შეუმჩნეველი არ რჩება ავტორისთვის. არც ოსმალელი ქალების სადღესასწაულო მორთულობის ევროპული შტრიხები გამორჩენია მის მახვილ თვალს: აბრეშუმის ჩადრის ქვეშ მჩენი პარიზის უკანასკნელ მოდაზე შეკერილი კაბა, ხელთათმანები და ძვირფასი ბათინკები. „ამ ქალებს დიდი ხანია უარ უყვიათ ძველებური, ოსმალური „მოდა“ და უკვე „გალიბერალებულან“ – ასკვნის ავტორი (ა. ლაისტი).

ამგვარი „გალიბერალების“ ნიშნები შედარებით პატარა ქალაქების მაცხოვრებლების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ჩაცმულობასაც დაეტყო, რასაც კონსერვატულად მოაზროვნე უფროსი თაობის მამაკაცები აღშფოთებით შეხვდნენ. მეტადრე სკვერში სასეირნოდ გამოსული შლაპიანი ქალების გამოჩენა აღიზიანებდათ და ღიად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას: წინად ტრაპიზონში შლაპიანს ვერ ჰნახავდით, ახლა კი 30 შლაპიანი კაცი და 20 ქალია. აბა რა ქალის საქმეა ბაღში მოსვლა და სკამზე ჯდომა, ისინი სახლში უნდა იყვნენ და ჭილოფზე ფეხმოკეცილნი ისხდნენო – შეუჩივლია იასე რაჭველისთვის ერთ „თათარს გულნატკენად“ („ცნობის ფურცელი“, 1904 წ., №2566). მსგავსი აზრისა და დამოკიდებულების საჯაროდ გაცხადების მიღმა ადვილია ქალთა რეალური ყოფის სირთულისა და უფლებრივი მდგომარეობის წარმოდგენა ამგვარ კონსერვატულ საზოგადოებაში. როგორც ჩანს, ეს დამოკიდებულება ქალაქის ქუჩების შეთვალთვლებისას უცხო თვალისთვისაც კი ადვილად შესამჩნევი იყო.

„...ესეთი განკერძოება, დედაკაცის დამონავება და დამცირება. აქ ყოველი სახლი ერთგვარი სატუსალოა, რომელშიაც ისლამის მიმდევართ დაუმწყვდევიანთ თავიანთი დედები და დები“ – ვკითხულობთ 1911 წ. (№232) „სახალხო გაზეთში“ „ნამის“ ფსევდონიმით (სავარაუდოდ სურგულაძე პეტრე როსტომის ძე (1873 – 1931)) დაბეჭდილ პუბლიკაციაში „წერილი საზღვარ-გარეთიდან (ტრაპიზონი)“. აშკარაა, იმდენად აღუშფოთებია ამგვარი სურათის ხილვას პუბლიცისტი, რომ არც ცდილობს მის დამალვას ან შელამაზებას. თუმცა ამავე წერილში გვაცნობს ტრაპიზონში მცხოვრები განათლებული ლაზი (ჭანი) კაცის აზრს, რომელიც სოფელ ათინიდან ყოფილა ჩამოსული და სასამართლოში მუშაობდა გამომძიებლად. იგი ქალს ოჯახის ბურჯად და მშობლიური ენის (ლაზურის) საიმედო მცველად აღიარებს. აქვე ერთ საინტერესო ინფორმაციასაც გვაწვდის. ამ პატივცემულ ჭანს ზეპირად წაუკითხავს კორესპონდენტისთვის ერთი ახალგაზრდა ქალის მიერ ლაზურ ენაზე შეთხზული პოემა. სამწუხაროდ, არც ამ „პატივცემული ჭანის“, არც პოემისა და არც მისი ავტორის ვინაობას არ ასახელებს: „ეს პოემა პატივცემულ ჭანს ჩაწერილი ჰქონია, მაგრამ ჩემდა

სამწუხაროდ, თავის სოფელ ათინაში დაუტოვებია“ – წერს გულდაწყვეტით პუბლიცისტი. თუმცა ქალის ნიჭის აღიარებისა და პატივისცემის დასტურად ნამდვილად გამოდგება მის მიერ შეთხზული პოემის ზეპირად დასწავლა ამ „პატივცემული ჭანის“ მხრიდან.

თავშეკავებულია და დელიკატურად უვლის გვერდს აღნიშნულ საკითხზე საუბარს პუბლიცისტი დ. ჩიქოვანი, რომელმაც 1912 წ. ოსმალეთში გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანთა სოფლები შემოიარა და რამდენიმე პუბლიკაციაც მიუძღვნა ამ ვოიაჟს სათაურით „ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში“, რომლებიც „სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა 1912 წელს (№612). „თვით ქალების მდგომარეობაზე ვერას ვიტყვი, რადგან საშუალება არ არის შრომობენ, როგორც ოჯახში, ისე ტყესა და ყანებში. რასაც მოგახსენებთ ყოველივე უცბად ნახული ან გაგონილია. დიდხანს რომ ვინმემ იცხოვროს მათ შორის - მრავალ საყურადღებო ცნობებს შეაგროვებს“ – წერს იგი. რისი შემჩნევა იყო შესაძლებელი „საზოგადოდ მაჰმადიანებში“ დ. ჩიქოვანი არ აკონკრეტებს.

ქალისა და მამაკაცის უფლებრივი თანასწორობის რელიგიურ ასპექტებზე საუბარს არ გაუბრუნებს იგივე „ნამის“ ფსევდონიმით 1912 წ. გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილის – „ალბანეთის“ ავტორი. იგი ქრისტიანული რწმენის, რომელიც დედაკაცში ისეთსავე ადამიანურ პიროვნებას სცნობს, როგორც მამაკაცში, ჩანაცვლებას მუსულმანობით, კულტურულ უკანდახევად მიიჩნევს. მისი გაგებით, ეს „ხალხის ერთი ნახევრის უპიროვნო მონად ქცევაა, რაც მეტად ამცირებს მთელი ხალხის კულტურულ ღონეს. მაჰმადიან ალბანელებში აუცილებლივ ქალის მდგომარეობა ფრიად დაბალ საფეხურზეა“ – დაასკვნის იგი ალბანელთა ყოფა-ცხოვრების გაცნობის შემდეგ („სახალხო გაზეთი“, № 624, 1912)

XX ს. დასაწყისში მიმდინარე მწვავე პოლიტიკური პროცესები ალბანეთსა და ბალკანეთის სხვა ქვეყნებში, ოსმალეთის იმპერიიდან რომ ცდილობდნენ თავის დაღწევას და ბალკანეთის ომის სახელითაა შესული ისტორიაში, აქტიურად შუქდებოდა იმჟამინდელ ქართულ პრესაში, ერთადერთ მასობრივ მედიასაშუალებაში. ქართული საზოგადოების გაცხოველებული ინტერესი აღნიშნული მოვლენებისადმი გასაგებიც იყო: ქვეყანა, რომელიც თავად განიცდიდა იმპერიის ბრჭყალების სიმწვავეს და მისგან დახსნის გზებისა და საშუალებების ძიებაში იყო, სხვა ქვეყნებში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ გამოჩენილი ყურადღება და თანაგრძნობა ეროვნული იდეოლოგიის გატარების ერთადერთ საშუალებად რჩებოდა მკაცრი საცენზურო პირობების გამო, განსაკუთრებით იმ სასტიკ რეაქციულ პერიოდში XX ს. დასაწყისში რომ სუფევდა საქართველოში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თითქმის ყოველდღიურად იბეჭდებოდა სხვადასხვა ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოებიდან მოწოდებული ცნობები ფრონტის წინა ხაზზე, სხვადასხვა

ქვეყნის, მათ შორის ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებსა თუ კულუარებში განვითარებული მოვლენების შესახებ. უყურადღებოდ არ რჩებოდა რედაქციისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი ინფორმაცია, თუნდაც მცირეოდენი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალიც კი. იბეჭდებოდა სპეციალურად მივლინებული კორესპონდენტების მიერ მომზადებული მიმოხილვითი ხასიათის ვრცელი პუბლიკაციებიც.

ამ კორესპონდენციებიდან რამდენიმე მათგანი ომის პირობებში ქალთა ყოფისა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი როლის გააქტიურების შესახებ გვაწვდის მეტად ღირებულ ინფორმაციებს. ნიმუშად გამოდგება „სახალხო გაზეთის“ 1912 წ. №244-ში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, რომელიც იტყობინება მაკედონიაში მიმდინარე საომარ მოქმედებების გამო გამოქცეული, ნახევრად შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალ ბავშვებისა და ქალების საშინელი მდგომარეობის შესახებ, რომელთა უბედურებას რილის მთებში გადმოსვლისას დიდთოვლობა დაემატა და საშინელ დღეში აღმოაჩინა. მათ დახმარება ესაჭიროებოდათ, მაგრამ მანამ მათ მისაშველებლად ადგილობრივი ხელისუფლება და სლავიანთა საქველმოქმედო საზოგადოება რამეს მოიმოქმედებდა, ეს უკანასკნელნი შიმშილითა და სიცივით იხოცებოდნენ. ბულგარეთში მცხოვრებმა ინგლისელმა ქალებმა ვერ აიტანეს მათი საცოდაობის გულგრილად ყურება და პირველები დაეხმარნენ ამ გაჭირვებულებს. ამავე ქალებმა დააარსეს სოფიაში უფასო სასადილო და სამკერვალო, სადაც ამზადდებდნენ ზამთრის ტანსაცმელს მაკედონიიდან გამოქცეული ქალებისა და ბავშვებისათვის; გამოუნახეს თავშესაფრები და სასმელ-საჭმელსაც მუქთად ურიგებდნენ. ამ გვარად, საბრალო ქალებმა და ბავშვებმა პირველი დახმარება ინგლისელი ქალებისაგან მიიღეს – ვიგებთ საინფორმაციო ტექსტიდან. ეს წერილი ერთ-ერთია ევროპელ ქალთა საზოგადოებრივი აქტივობისა და სოლიდარობის მაგალითების წარმომჩენი პუბლიკაციებიდან, ქართველ ქალთა წახალისებასა და ქვეყნისათვის სასიკეთო საქმისათვის მათი ენერჯის მომართვას რომ ისახავდა მიზნად. ქართულ პრესაში აქტიურად შუქდებოდა 1910 წლიდან ევროპაში ფართოდ გაშლილი ქალთა მოძრაობა, რადგან იგი სრულად შეესაბამებოდა „ქალთა საკითხის“ ნაციონალურ განზომილებებს, XIX საუკუნის ბოლოდან რომ იღებდა სათავეს და ილიასეული გზის გაგრძელებას წარმოადგენდა.

და არა მარტო ევროპაში, მახლობელ აღმოსავლეთშიც შეინიშნება ქალთა მოძრაობის ორგანიზება, რაც უყურადღებოდ არ დარჩენია ქართულ პრესას. „სახალხო გაზეთის“ 1912 წლის №81-ში დაიბეჭდა „ბერლინერ თავებლატისთვის“ სტამბოლელი კორესპონდენტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია. „ოსმალელ ქალთა მიტინგი სტამბოლში“ – ასეა დასათაურებული სარედაქციო წერილი, რომლიდანაც ვგებულობთ ოსმალელ ქალთა გააქტიურების შესახებ, რომელთაც სტამბოლში მიტინგი

გაუმართავთ. წერილში აღწერილია ვისი ორგანიზებით მოეწყო მიტინგი და რა მიზანს ემსახურებოდა იგი.

კრების ორგანიზება პრინცესა ნიმუტ-ხანუმისა და მაჰმუდ-მუხტარ-ფაშის მეუღლის ინიციატივით მომხდარა. პირველად ილაპარაკა ფახმი-ალიხ-ხანუმმა, ოსმალელი ისტორიკოსის, ჯევატ-ფაშის ქალმა. მოლაპარაკე გატაცებით ამტკიცებდა ბრძოლის გაგრძელების საჭიროებას. იგი ამბობდა: ოსმალეთმა მსხვერპლი უნდა შესწიროს სამშობლოს დასაცავად და მოუწოდებდა ოსმალელ ქალებს, ყოველ მხრივ დახმარებოდნენ ოსმალეთის ჯარს. შემდეგმა გამომსვლელმა ფეიმე-ნესტეხ-ხანუმმა, მგრძნობიარე და ლამაზი სიტყვით დაასურათა ბალკანეთის ომის მიმდინარეობა, აღინიშნა მოკავშირე სახელმწიფოების სისასტიკე და სიმკაცრე. ოსმალელმა მოსწავლე ქალებმა წაიკითხეს ლექსები. ილაპარაკა ცნობილმა მწერალმა ქალმა ხალიდე-ხანუმმა, რომელსაც კრება აღტაცებით მიეგება. მან მოაგონა კრებას ოსმალთა სახელმწიფოს დიადი წარსული და მოწოდებაც შესაბამისი გააჟღერა: რითაც კი ძალა შეგწევთ, ჯარს დაეხმარეთ ოსმალეთის მტრებთან საბრძოლველად.

ამ ემოციური გამოსვლების პათოსს შეესაბამება კრების დადგენილება: „ოსმალეთის ჯარს გამამხნევებელი დეპეშა გაეგზავნოს და სთხოვოს, იბრძოლოს დედათა, ცოლთა და დათა პატივისა და ღირსების დასაცავად. გადაწყდა, დეპეშები გაეგზავნათ ასევე ევროპის გვირგვინოსანი ქალებისთვის და ეთხოვათ, „დაეცვათ ოსმალეთი მოკავშირე სახელმწიფოთა სიმხეცისაგან.“ კრების ბოლოს ყველამ თვისი ძვირფასი სამკაული მოიხსნა და ძვირფას სამშობლოს დასაცავ თანხას შესწირა“ – იტყობინება სტამბოლელი კორესპონდენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით „სახალხო გაზეთის“ რედაქცია.

წერილში აშკარად იგრძნობა სტამბოლელ ქალთა პათოსით აღფრთოვანება, რაც რედაქციის პოზიციას ამჟღავნებს: გაერთიანება და ეროვნული ენერჯის მიმართვა ყველაზე ძვირფასის, სამშობლოს დასაცავად, რაშიც ქალებს მამაკაცებთან ერთად უდავოდ დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ. ეს უნდა იყოს სტამბოლელ ქალთა პათოსით რედაქციის აღფრთოვანების რეალური მიზეზი. ეს ერთგვარი მოწოდება იყო კონსოლიდაციისა და საერთო მიზნისათვის ერთიანი ძალით ბრძოლისაკენ, რაც ასე სჭირდებოდა იმჟამინდელ ქართულ საზოგადოებას.

მეორე მხრივ კი, დასტურდება ოსმალელი ქალების მამაკაცთა ჩრდილიდან გამოსვლისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვისთვის მზაობა XX ს. 10-იანი წლებიდან; შეიმჩნევა ქალთა მასობრივი მოძრაობის ორგანიზებისკენ სწრაფვის ტენდენცია. აქაც უკვე მართლდება ილია ჭავჭავაძის მიერ ჯერ კიდევ 1889 წელს გამოთქმული ცნობილი წინასწარმეტყველური ვარაუდი: „შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა

მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისი კუთვნილის ადგილის დასაჭერად“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანთელავა ლ., „კულტურა და გენდერი (გენდერული პრობლემატიკა საქართველოში)“, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2002.

2. ბოსტაშვილი ნ., „იასე რაჭველი (მეხუზლა) წერილები თურქეთიდან“, „მეცნიერება“, თბილისი, 1991.

3. ბრანდერი ვ., „კომპასი“ (სახელმძღვ. ადამიანის უფლებათა განათლ. სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით), თბილისი, 2004.

4. ბუქური მ., „ქალი თურქეთში“, თბილისი, 2012.

5. კიკვაძე ზ., „ენა, გენდერი და ნაციონალიზმი“, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2010 .

6. საბედაშვილი თ., „ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები“(სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის), თბილისი, 2006 .

7. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ., №2566

8. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ., №2579

9. „ივერია“, 1897 წ. , № 164

10. „ივერია“, 1898 წ. , №131

11. „ივერია“, 1901 წ. , № 15

12. „ივერია“, 1901 წ. , № 75

13. „ივერია“, 1901 წ. , № 98

14. „ივერია“, 1901 წ. , № 198

15. „ივერია“, 1905 წ., №178,

16. „ივერია“, 1905 წ., №244

17. „ივერია“, 1909 წ. , № 40

18. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., №203

19. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., №232

20. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 421

21. „სახალხო გაზეთი“, 1911წ., №470,

22. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ., №81

23. „სახალხო გაზეთი“, 1912წ., №587,

24. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ., №612

25. „სახალხო გაზეთი“, 1912წ., № 624-625